ქართული თეატრული ხელოვნება ვითარდებოდა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე რუსული თეატრული კულტურის გავლენით. ცნობილია, რომ პირველი პროფესიული რუსული დრამატული თეატრი თბილისში გაიხსნა ჯერ კიდევ 1845 წელს. მისი მსახიობების შერჩევამ მონაწილეობა დაიდი მსახიობი, რუსული რეალისტური სცენური ხელოვნების მამამთავარი — მ. ს. შჩეპკინი. 1873 წლიდან თეატრის ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული რუსი მსახიობი და რეჟისორი ა. ა. იაბლოკინი, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ა. იაბლოკინის შიშა. თეატრში იდგებოდა მშობლიური და მსოფლიო დრამატურგიის შედეგები. თბილისის რუსული თეატრის სცენაზე სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ რუსული სცენის გამოჩენილი ოსტატები გ. ფედოტოვა, მ. ვრონოვა, მ. ხაივა, ვ. კომისარევესკია, ვ. დავიდავი, კ. ვარლამოვი, ნ. ორლოვი, მშები ადელევიშვიტი და სხვ.

საქართველოში დაიბადა და აქ დაიწყო თავისი თეატრული მოღვაწეობა გამოჩენილმა საბჭოთა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, კ. ს. ხტანისლავსკისთან ერთად მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფუძემდებელმა და ხელმძღვანელმა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ. საქართველოსთან არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის გამოქვეყნებული თეატრული სკაქვის პირველხარისხისოვანი მცოდნის, გამოჩენილი მსახიობისა და რეჟისორის, შემდგომში მოსკოვის მცირე თეატრის ხელმძღვანელის, წარმომოთხთ ქართველი ა. ი. სუმბათაშვილი-იუგინის (სუმბათაშვილის) შემოქმედებით ცხოვრების დასაწყისი.

საქართველოში ხშირად იმართებოდა რუსული დრამის თეატრების საგასტროლო სპექტაკლები. მაგალითად: 1904—1905 წლების თეატრული სეზონში თბილისში წარმოადგენები უქნადა „ახალი დრამის“ მსახიობთა ამხანაგობამ ვ. მეიერხოლდის ხელმძღვანელობით.

რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ, რეაქციის წლებში, მეფის მთავრობის დევნის მიუხედავად, მოწინავე ქართველმა თეატრალურმა მოღვაწეებმა შეძლეს რუსული კლასი-

¹ სკკე ყრილობების, კონგრესებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებში და გავარყვებულაებში, ნაწ. 1, თბ., 1954, გვ. 957.



კური დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებთა დადგმა. 1909 წელს სახალხო სახლთან არსებულმა ქართულმა მუშათა თეატრმა ნ. ვ. გოგოლის დაბადების ასე წლისთავთან დაკავშირებით მასურებლებს უჩვენა მისი უკუდაგი კომედია „რვეი-ზორი“. 1910 წელს ქუთაისის თეატრში ქართული თეატრალური კულტურის ისეთმა ფასიანით მოღვაწეებმა, როგორც ივერე შალვა დადიანი, ვაგრაის ბენია, მიხეილ ქორელი, ქართულ ენაზე დადგეს მ. გორკის პიესა „ნაძირლე-ბი“, რომელიც მეფის ცენზურის მიერ აკრძალული იყო.

ა. მ. გორკიმ უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა სცენის სახელმძღვანელო ოსტატ კოტე მარჯანიშვილზე.

„მე არ შემიძლია აუღელვებლად ვილაპარაკო ამ ადამიანზე... გორკი თავისი მამაცი ადამიანებით, სიმბრავეზე მისი დაიცივით... აი რამ შთამაშობს მე“ — წერდა კ. მარჯანიშვილი თავის მემუარებში². კ. მარჯანიშვილმა ჯერ კიდევ 1903-1904 წლებში ერთ-ერთმა პირველმა დადგა რუსეთის თეატრებში ა. მ. გორკის პიესები „მდიანი“³, „ფსიქრეზე“, „მოაგარაკენი“.

ა. ვ. ლუნაჩარსკი კი თვითონ აღწივთ კ. მარჯანიშვილის ნივთი. იგი წერდა: „ამ ქართველმა ხელოვანმა მკაფიო ფურცელი შეიტანა რუსული თეატრის ისტორიაში“⁴.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა კ. მარჯანიშვილი მიწვეულ იქნა ჯერ რუსთაველის სახელობის, ხოლო შემდეგ ქუთაისის სახელმწიფო თეატრის რეჟისორად, მან დიდი შემოქმედებითი გატანებით დადგა ვ. კირიონის, ნ. პოპოლინის, ი. მიკიტენკოს, ა. აფინოვოვის და სხვა საბჭოთა დრამატურგების პიესები.

1930 წლის აპრილში ქუთაისის თეატრმა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით სპექტროლები გამართა უკრაინასა და მოსკოვში.

1930 წლის 12 მაისს ქუთაისის თეატრის დადგმების შესახებ კომუნისტურ აკადემიაში გამართულ დისკუსიაზე ა. ვ. ლუნაჩარსკიმ თქვა: „ვეყვას უხარია პირველყოფისას ის, რომ ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა საქართველოში ესოდენ ბრწყინვალედ გამოვლინდა თეატრალური ხელოვნების წინსვლა. კ. მარჯანიშვილმა განავითარა არა მხოლოდ ქართული, ეროვნული თეატრი, არამედ რევოლუციური, პროლეტარული და ამ თეატრს ყველაზე გამოყვეილი სახე მისცა. რუსულ და საერთაშორისო დრამატურგიაში ის ეძიებს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც უპასუხებს თანადროულობას, შეფარდება ჩვენს ეპოქას. ის ცდილობს აღმაშენებელი დრამატურგების პიესების ისეთიანად დადგას, რომ პლატონ თეატრალური სექტორი ტრიბუნა გახდეს, თანამედროვე მოვლენებს პასუხობდეს“⁵.

აჯამება რა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების შედეგებს მოსკოვში, ა. ვ. ლუნაჩარსკი წერდა: „რუსთაველის თეატრმა განაცვიფრა მოსკოვი. მას მიაჩნდა, და ასეთი აზრის ვარ მეც, რომ იგი მსოფლიოს თეატრების პირველ რიგში დგება.“

ეს მოხდა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ქართველებმა შექმნილი ადგიური შესანიშნავი აქტივობა მასალას უდიდესი ტემპარინტის, სერიოზული თამაში, მსუბუქი მოძრაობა, მეტყველო მიმოკა, საოცარი. ყველაფერ ამას რაღაც „უმინკობის“ დალი აზის. მათ აქვთ დიდი კულტურა, რაც საშუალებას აძლევს მიაღწიონ გარკვეულ და სრულყოფილ ფორმებს, ასახონ ქართველების და სხვა კავკასიელი ხალხების წარსული და წმენდა.

მეორედ, წარმატების მიზეზი ის არის, რომ გულისხმობრმა და ნიჭიერმა ხანდრე ასმეტელმა შეძლო ამ გასაოცარი მასალის კარგად შეგრძობა და გამოყენება“⁶.

დიდი წარმატება ხვდა წილად რუსთაველის სახელობის თეატრის დადგმებს, განსაკუთრებით ს. შანშიაშვილის „არქენას“, თეატრალურ ფესტივალზე მოსკოვში 1936 წლის შემოდგომაზე. ფესტივალის დათმარების შედეგად სსრ კავშირის მთავრობამ რუსთაველის სახელობის თეატრი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

საქართველოს საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა რუსული, სომხური და აზერბაიჯანული თეატრალური კოლექტივების მიმართ.

1926 წელს თბილისში დაარსდა თბილისის რუსული მუშათა თეატრი, რომელიც შემდგომში გადაკეთდა ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრად. 1927 წელს გაიხსნა თბილისის მოხარულ მასურებელთა რუსული თეატრი, რომელიც დღემდე არსებობს. საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლებს დამყარების პირველ წლებშივე დაიწყო მუშაობა სომხური დრამის თეატრმა. ამ თეატრში მოღვაწეობდა ცნობილი სომხი მსახიობი ვაჰამ ფაფაზიანი. აქვე აღიზარდნენ ნიჭიერი მსახიობები: ა. ბერიანი, ა. ლენინიანი, მ. მოჭორიანი, ე. სტეფანიანი, რ. პოპოვიანი და სხვ.

ომისშემდგომ წლებში ქართულ სცენაზე განსაკუთრებით ფართო გატანება პპოვა რუსული და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა კლასიკურმა და თანამედროვე დრამატურგების ნაწარმოებმა.

საქართველოს წყვეანება თეატრებმა მთელი თავიანთი შემოქმედებითი ენერჯია გამოიყენეს, რათა წარმატებით დაეგდათ პიესები, რომლებშიც ასახულია ვ. ი. ლენინის უკუდავი სახე. (ნ. ვ. პოპოლინის „ოთფიანი კაცი“ და „კრემლის კუარანტი“).

რუსი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებთან ერთად ქართულ სცენაზე იდგებოდა ა. კორნეიუკის, ვ. მინსოს, ი. გალანის, ი. კორქუას, გ. მუნტაროვის, დ. ტუავეის და მოძმე ერების სხვა დრამატურგთა პიესები.

საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა თეატრები წარმატებით ანზორციელებენ ქართველ დრამატურგთა პიესების დადგმებს.

სამამულო ომის თემებზე პირველი პიესა — „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“ — დაწერა ქართველმა დრამატურგმა გ. მდიანამ. ეს პიესა დადგა ჩვენი ქვეყნის ბევრმა თეატრმა. ფართო საზოგადოებრივი აღიარება პპოვა მ. ბარათაშვილის პიესამ „კრიტიანი“, რომელიც შევიდა საბჭოთა კავშირის მოძმე თეატრების რეპერტუარში. მოძმე რესპუბლიკათა თე-

² K. Marjanišvili, Mемуары и статьи, Тб. 1947, გვ. 47.
³ იხ. ა. ვ. ლუნაჩარსკის წინასიტყვაობა ს. აშალოვლის წიგნისა „Грушинский театр“, გვ. 7.
⁴ K. Marjanišvili, Воспоминания, статьи, доклады, Тб. 1958, გვ. 65.

⁵ იხ. „Вечерняя Москва“ 1930 წ. 2 მაისი.



ატრებმა დადგეს აგრეთვე გ. ჭეღაძეაინის „ასალგაზრდა მის-
წყობები“ და კ. ბუაჩიძის „მუშოში ავი ძალია“.

საბჭოთა თეატრების რეპერტუარში საპატიო ადგილი
დასაძინებას ახალგაზრდა მწერლისა და დრამატურგის ნოდარ
ფეხვაძის და გიგა ლორთქიფანიძის პიესებმა „მე, ბებია,
ლილი და ილარიონი“ და „მე ვხედავ მუსს“. ამ პიესების
მალე მხატვრული ღირსებების უდავო დადასტურებაა ის,
რომ პირველი მათგანი მსყურებლებს უწევდა ლენინგრადის
პუბლიკის სახელობის აკადემიურმა თეატრმა, ხოლო მეორე —
მისკოვის სამხატვრო აკადემიურმა თეატრმა. პიესას „მე, ბე-
ბია, ლილი და ილარიონი“ დიდი წარმატება ხვდა წილად
აგრეთვე ლენინში გამართულ მსოფლიო თეატრალურ ფეს-
ტივალზე 1966 წლის გაზაფხულზე.

საქართველოში ყოველწლიურად წარმატებით ტარდება
მისკოვის, ლენინგრადის და საბჭოთა კავშირის სხვა თეატრე-
ბის გასტროლები. თავის მხრივ საქართველოს თეატრალური
ხელოვნების მუშაკები მაღალ ოსტატობას უწევენ მსყუ-
რებლებს მომეჩ რესპუბლიკათა მრავალ ქალაქში.

ამრიგად, შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნუ-
ლი საბჭოთა კულტურის წარმატებები თავისი წვლილი შე-
იტანეს ქართულ თეატრალურ ხელოვნებას, რომელიც ვითარდება
კომუნისტური პარტიის უშუალო ხელშეწყობით პარტი-
ულობის, ხალხურიებისა და სოციალისტური რეალიზმის ლე-
ნინური პრინციპების საფუძველზე.

მთელ ჩვენ ქვეყანასთან და მის კულტურასთან ერთად
წლითწლით იზრდება საბჭოთა კინოხელოვნება, რომელიც
გამჭვირვალა ჩვენში დროის მაღალი იდეებით. მეტივე საბ-
ჭოთა კინოფილმმა აღიარება პიოგა მთელ მსოფლიოში. ამის
დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ მარტო უკანას-
კნელ წლებში 200-ზე მეტი საბჭოთა ფილმი დაჯილდოებულ
იქნა საერთაშორისო პრემიებით და დიპლომებით.

საბჭოთა კინოხელოვნების მრავალფეროვანი სახისათვის
ჩაუფიო გამოშთატვლია ის ფაქტი, რომ საბჭოთა მხატვრული
კინოფილმების დაახლოებით ორი მესამედი გამოშვებულია
მოკაფიორე ჭესპუბლიკების კინოსტუდიების მიერ.

არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა კინოხე-
ლოვნების ისტორიაში დიდი მოვლენა იყო 1923 წელს პირ-
ველი საბჭოთა რევოლუციური-სათავგადასავლო ფილმის
„წითელი ეშმაკუნების“ გამოშვება. ამ ფილმის შესახებ ჟურ-
ნალი „სხედტსკი ვკრან“ წერდა: „წითელი ეშმაკუნები“ სა-
ქართველოს სახენმრწემმა ჩვენს რეგისორებს დაანახა თუ
როგორ უნდა გადავიღოთ საბჭოთა ფილმები. ბევრი დიდგე-
ნიანმა თუ ვიკაციტი, რომ „წითელი ეშმაკუნები“ ვერ კი-
დედ სწორუპიარე ნაწარმოებია. ამ ფილმში რეჟისორმა პე-
რსტანანმა ჩაატოვა სამოქალაქო ომის მთელი სულისკვეთე-
ბა“.

ფილმმა „წითელმა ეშმაკუნებმა“ საფუძველი ჩაუყარა
სათავგადასავლო განრს საბჭოთა კინოხელოვნებაში.

„წითელი ეშმაკუნების“ უდიდესი მხატვრული შემოქმე-
დებით ძალის გამოშთატველი იყო ის, რომ ამ ფილმის გამო-
ქლქ ლადინიძის საფუქტო კომპონანტის მუშებმა თილი-

სის კინოსტუდიას გამოუგზავნეს წითელი დროშა წარწერით
„საქართველოს სახენმრწემის მუშაკებს, პირველი საუკეთესო
საბჭოთა ფილმის „წითელი ეშმაკუნების“ შემქმნელებს —
ფაბრიკა „კომუნისტური ავანგარდის“ მრავალი ასეული მუ-
შისაგან ნაღველი პროდუქტორები და მწიგნობრეა. გაუმარჯოს სო-
ციალისმის დიდ თანამგზავრს — კინოხელოვნებას“.

თავისი არსებობის პირველ წლებში (დაახლოებით 1927
წლამდე) ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ გამოუშვა
50-მდე ფილმი, რომლებსაც წარმატებით აჩვენებდნენ
მთელს საბჭოთა კავშირში და ბევრგან უცხოეთში. განსა-
კუთრებით პოპულარული იყო ფილმები შესანიშნავი მასიო-
ბის ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით.

ქართული კინოხელოვნების დიდი შემოქმედებითი წარმა-
ტება იყო ა. ვახუშტის „მამის მკვლელობის“ ცერანიზაცია, რომელიც
განახორციელა კინორეჟისორმა ა. ბეკ-ნაზაროვმა.

დიდი სამშელო ომის წლებში თბილისის კინოსტუდიაში
შეიქმნა მსყურებლისათვის ფართოდ ცნობილი „მსოფლიომის“
და „ლენინგომის“ ნაწარმოებები: „წყალქვეშა ტყვეობაში“
„უჩინარი იანი“, „ქორწილი“, „მალახის ყორღანი“ და სხვ.

საბჭოთა და უცხოელ მსყურებლებში დიდი პოპულარობა
მოიხვეჭა პირველმა საბჭოთა სტერეოსკოპულმა ფილმმა
„რობინზო კრუზო“ (დ. დეფოს ნაწარმოების მიხედვით),
რომელიც გადაიღო თბილისის კინოსტუდიაში სტუდია „სტე-
რეოკინოსთთან“ ერთად.

ხალხთა მეგობრობის თემის მიხედვად დოკუმენტური
ფილმი „ურდღვეი მეგობრობა“. ეს ფილმი მოგვიხიბრებს მა-
ხარაძის რაიონის და სომხეთის სსრ ოქტომბრის რაიონის
კოლმეურნეთა შეჯიბრების შესახებ.

რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების ისტორიული
მეგობრობა ასახულია ისტორიულ-ბიოგრაფიული განრს დო-
კუმენტურ ფილმებში „ეტიობიოდოვი საქართველოში“, „კუშ-
კინი საქართველოში“, „დავით გურამიშვილი“, „ლესია უკ-
რაინა“ და სხვ.

ქართული კინოხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო კინო-
სურათია მხატვრული ფილმი „ფატიმა“. იგი დადგა რეჟი-
სორმა ს. დოლიძემ ოსური ლიტერატურის კლასიკოსის კოს-
ტა ხეთაგუროვის ნაწარმოების მიხედვით. ეს იყო ოსური ლი-
ტერატურული ქმნილების პირველი ცერანიზაცია. მეორე სა-
გამირო კინოფესტივალზე კიევი 1958 წელს ეს ფილმი სა-
პატიო დიპლომით დაჯილდოვდა.

მთელი საბჭოთა კინოხელოვნების დიდ გამარჯვებას წარ-
მოადგენს ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა“, რომელიც
შესანიშნავად არის ასახული დიდ სამშელო ომში საბჭოთა
ადამიანების პატრიოტიზმი, გმირობა და თავდადება სამშე-
ლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, საბჭოთა ხალხების
ურდღვეი ერთიანობა. მაღალმა მხატვრულმა ღირსებამ, კე-
თილშობილურმა იდეებმა, რეალიზმმა და ხალხურობამ განა-
პირობა ამ ფილმის დიდი წარმატება მთელს მსოფლიოში.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ ქართულ ენაზე
დუბლირებულ იქნა მისკოვის, ლენინგრადის, მოკაფიორე რეს-
პუბლიკათა კინოსტუდიების 500-ზე მეტი ფილმი. მეორეს
მხრივ, საუკეთესო ქართული ფილმები დუბლირებულია მომე-
ერების ენებზე.



ფიგურა ქვედალს

კოლხეთის სკოლის



მან გოგოლაშვილი

საბოლოო ფორმა

გობეჯი ალექსანდროვი

სკანდინავიური



სეპიატოვიჩი
მედიტატი
ანსეპოლიჩი

ანსეპოვიჩი
ნიკოლო
ბელოვოიჩი

მედიტატი

სკანდინავიური



მედიტატი

სკანდინავიური



მედიტატი

სკანდინავიური

მან გოგოლაშვილი

სკანდინავიური





გენი შატუნოვსკის მუსიკალური ტრაგიკომედით „ჩემი უკუნური ძმა“. სპექტაკლი დიდი წარმატებით — სარეზონანსო და ტემშარტად ამშვენებს ოდესის თეატრის რეპერტუარს.

ტრაგიკომედია „ჩემი უკუნური ძმა“ შეიქმნა ავტორებისა და თეატრის კოლექტივის მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობით. ასევე დაიდგა ო. სანდლერის ოპერეტები: „განთიადზე“, „საცოლეებმა არ უნდა იტირონ“ და „მიაროვით საყვარელს ტულანები“, ქართველი კომპოზიტორის კ. პევეზერის ოპერეტა „ყოველთვის საყვარელთან“, სპადავვიასი — „ვიოლინის გული“ და სხვა მრავალი.

ავტორებს დიდი შემოქმედებით დახმარებას უწევს ოდესის თეატრის მთავარი რეჟისორი, რსფსრ დამსახურებული არტისტი მატვეი ოშეროვსკი. თეატრის მთავარ დირიჟორთან ივანე ფილბერგთან ერთად იგი ამჯერადაც დასდი შემოქმედებითი ერთუზიანით მუშაობდა ტრაგიკომედის ავტორებთან, სპექტაკლი გამოვიდა საინტერესო, შინაარსიანი, მომხიბვლელი.

გ. ცაბაძის ეს ტრაგიკომედია პირველი სპექტაკლი როდია ოდესის მუსიკალური კომედიის სცენაზე. ოდესელები ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებას პირველად გაეცნენ 1965 წელს ოპერეტით „შესანიშნავი სამეული“. ნიშანდობლივია, ისიც, რომ ამ ოპერეტის დადგემაში მონაწილეობა მიიღო ქართველი ოსტატების ჯგუფმა. რეჟისორმა, მხატვარმა, ბალეტმასიტერმა.

თბილისელი მუსიკის მოყვარულებიც იცნობენ ოდესის თეატრის ხელოვნებას, რომლის გასტროლებიც წარმატებით ჩატარდა 1953 და 1957 წლებში საქართველოს დედაქალაქში.

...ორი მსხვილი თოკი — ეს თავისებური ფარდაა. ასე სიმბოლურადაა გამომხატული სამყარო, რომელშიც მოქმედებავითარდება. ეს არის ძალადობისა და რასიზმის სამყარო, სადაც დღეწიან თავისუფლებას, სამყარო, რომელშიც გაბატონებულია ომის გამწაღებულთა სისასტიკე, ადამიანთა მიმართ სიძულვილი. ასეა ხაზგასმული ერთ-ერთი იმპერიალისტური სახელმწიფოს „ემბლემა“. სწორედ აქ არის თავმოყრილი ის მიმხე მოვლენები, რომელნიც მაცურებულთა გულწრფელ განცდებს, მღელვარებას იწვევენ.

მილიონერი ქაროლი „ადამსავლეთის დაღუპვის“ მიზნით თერმოატომური ომის გაჩაღებას ფიქრობს, მას სურს წყალბადის ყუმბარებით მთელი სამყარო მოსპოს. იგი თავისი ოჯახით თავს უმველის ატომურ კარაველაზე. ატომური ფსიქოზი, სიძულვილი, შემზარავი ეგოიზმი, დამახასიათებელია აგრესიული ქვეყნების მმართველი წრებისათვის.

იმევე ჭაბუკი ცხოვრობს ქაროლის ძმა ჯორჯი. იგი ხელს უშლის ომის გამწაღების საშინელი გეგმების განხორციელებას. ამიტომაც უკუნური ძმა — ქაროლი ჯორჯს სულით დაავადებულთა საავადმყოფოში ათავსებს, ამორებს მას სატრფოსთან.

„ჩემი უკუნური ძმა“ — დიდი საზოგადოებრივი ელერალობის სპექტაკლია. იგი თანამედროვე, პოლიტიკურად გამაზვილებული, ტემშარტად აქტუალურია. ის, რაც სცენაზე ხდება, ცნობილია დღევანდელი გასუთიდიან. დადგმის ავტორები და შემსრულებლები ამხელენ ომის გამაჩაღებლებს.

ქართული

ოპერეტა

ოდესის

თეატრი

ილია ზიმი



დღის მუსიკალური კომედიის თეატრისათვის წლებიდანლი სეზონი — საიუბილეოა. კოლექტივის შესრულდა 20 წელი. ეს ღირსსახსოვარი თარიღია თეატრის ცხოვრებაში. პირველივე დღიდან აქ სასუფველი ჩაეყვარა კარგ ტრადიციას — ახალი ოპერეტების სცენურ ხორც-შესხმას ავტორებთან მჭიდრო შემოქმედებით მეგობრობაში. ეს ტრადიცია გრძელდება.

საიუბილეო სეზონი თეატრმა დაიწყო ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გიორგი ცაბაძის და მოსკოველი დრამატურგის ვე-

დაიბადა კითხვა: შესაძლებელია თუ არა საოპერეტო სცენაზე მშვიდობისათვის ბრძოლის თემის წარმოსახვა? ამ სპექტაკლის წარმატებამ დაამტკიცა, რომ ოპერეტაში შეიძლება ელაპარაკით პოლიტიკური ამფულეტის ენით და ამავე დროს ადვილვით ჟანრის სპეციფიკაც.

ამჯერად თეატრის ახალი შემოქმედებითი ძიებანი დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. სპექტაკლი-ამფულეტით — „ჩემი უკუნიერი ძმის“ ოდესის თეატრმა თავისი წვლილი შეიტანა მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის მუსიკა — მელოდური, საზოგადო, ფერადოვანია, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული გმირთა განცდებთან, მძაფრ დრამატულ სიტუაციებთან, აგრეთვე მზიარულ ეპიზოდებთან. პარმონიული ენა გამსჭვალულია ქართული მუსიკის ელემენტებით, ხოლო ქართული მუსიკისათვის დამახასიათებელ რიტმულ სიმახვილეს გადავყავართ სხვა სამყაროში — ოკეანეშიერთა ერთ-ერთ ქვეყანაში. ოპერეტაში გვირავდა კონტრასტული ლექსთემები. ფართო ელვადობა აქვს სპექტაკლის პროლოგს „სიმღერა მშვიდობაზე“, რომელსაც უბრალო ადამიანები — დოკერები, მუშები, მეზღვაურები მღერიან. კომპოზიტორის ოსტატობა ამკარად ჩანს ანამბლებში. თვალსაჩინოა სექსტეტი I აქტში, რომელსაც პაროლდის ოჯახობა ასრულებს, რიტმულად საინტერესოა ლოტასა და პოლიციელების ანსამბლი.

გულწრფელით, განცდათა სიღრმით გამოირჩევა ემასა და ჯორჯის ლირიკული დუეტი, ხოლო სპექტაკლის ახალ-



ლოტა — გ. ჯანაგია, ფრანჩესკო — ნ. ოგერნია

კომპოზიტორი გ. ცაბაძე, დირიჟორი ა. კილბერგი, ხალტმისტიტირი ა. ზარცია და რეჟისორი შ. ოშეროვსკი



გაზრდა გმირების — ლოტასა და ფრანჩესკოს დუეტი — დრამატული სიმძაფრით, მღელვარებით.

გ. ცაბაძის მუსიკა ნათელი გამომსახველობით გადმოგვცემს ფაქიზ ლირიზმსა და ტრაგედიულ გამოუსვლლობას, სარკაზმსა და იუმორს, სატირასა და დრამატულ მღელვარებებს. საბალეტო ნომრები ირგანულად ექსოვება ოპერეტის დრამატურგიულ განვითარებებს.

დირიჟორი ივანე კილბერგი ფაქიზად გრძნობს მუსიკის ხასიათს. იგი მიისწრაფვის რაც შეიძლება ღრმად გახსნას ტრაგიკომედიის ესა თუ ის მუსიკალური სახე. ამ გამოცდილი დირიჟორის ხელმძღვანელობით ორკესტრი მწყობრად, გამომსახველად და რბილად ჟღერს. საერთოდ მთელი სპექტაკლი გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო კულტურით, რამაც დიდი წვლილი დირიჟორ კილბერგს მიუძღვის.

დიდი სითამამე და შემოქმედებითი ფანტაზია ჩანს ნიჭიერი რეჟისორის შ. ოშეროვსკის ნამუშევარში.

„ჩემი უკუნიერი ძმის“ დადგამად ჩვენს საოპერეტო სცენაზე ასეთი ჟანრის ტრადიცია არ არსებობდა. შ. ოშეროვსკიმ ფაქიზი მხატვრული გემოვნებით და ტემპერამენტით განაზორციელა სპექტაკლ-ამფულეტის დადგმა, მიაღწია მაღალ საზოგადოებრივ ელვადობასა და პოლიტიკურ სიმახვილეს.

უსსრ სახალხო არტისტს მიხეილ ვოდიანოვის სპექტაკლში ორი როლის განსახიერება უზღვდა — ეს არის მკაცრი, ეგოისტი, ადამიანთა მოძულე მილიონერი პაროლდი და მისი მზიარული, — საწყალი და კეთილი ძმა ჯორჯი. აქტიორმა მოგვცა ორი დამაჯერებელი, ძლიერი და კონტრასტული მხატვრული სახე. აქ კვლავ გამოიმჟღავნა დიდი აქტიორული ოსტატობა და ტრანსფორმაციის შესანიშნავი უნარი, რაც



ჭორჭი — მ. ვლიანიძე, ემა — ლ. სატოსოვა

ესოდენ დამახასიათებელია მაცურებელთა საყვარელი მსახიობისათვის.

სამყაროში, რომელშიც სიყვარულიც კი ფულზე იყიდება, ცხოვრობს სათნო და კეთილშობილი ქალი—ემა, კაროლდის

სატრფო. მის ტრაგედიულსა და სახასიათო ტრულს თავისივეურად წარმოვიდგინენ უსსრ სახალხო არტისტები ლ. სატოსოვა და უსსრ დამსახურებული არტისტი მარგარიტა დემინა. ორივე ინტერპრეტაცია დამაჯერებელია.

აქტიორული გამარჯვება ზედათ სპექტაკლში მევიოლინე ფრანსუესკოს როლის შემსრულებელს — ნიკოლოზ ოგრენინის, ლოტას — ს. ნიკიტენკოს და მ. გრამეას, კაროლდს და ჯორჯს — ს. კრუნიკს, ნორმას — ე. ლოვოცკაიას და სხვა. სპექტაკლში იგრანობა მთელი კოლექტივის შემოქმედებითი ერთობაში. მსახიობებმა შემქმნეს ხმაშუწყობილი და ერთიანი მუსიკალურ-სცენური ანსამბლი.

ლაკონური, გამომსახველი და ფერადოვანია სპექტაკლის მხატვრული გაფორმება, შესრულებული რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მ. ვინოგრადოვის მიერ. ამ ხელოვანთან თეატრი უკვე რამდენიმე წელიწადია თანამშრომლობს. სპექტაკლი მხატვრის ახალი წარმატებაა.

ცეკვების დამდგმელია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. ზარეცი. მან საინტერესოდ და სახიონად გადმოსცა გმირთა განწყობილებანი. მოცეკვეთთა პლასტიკურად გამომსახველი, სკულპტურული პოზები ანუთარებენ სპექტაკლის მოქმედებას, მის მუსიკალურ დამატურებას. ცეკვები ორგანულად ერწყმის სცენურ სიტუაციებს. ზარეცი ფაქტურად გრძნობს მუსიკას, თავისი ჭორეოგრაფიული ჩანაფიქრი მან კარგად გადასცა ახალგაზრდა მოცეკვავეებს.

ოდესის თეატრმა დაამტკიცა, რომ მის მიერ დაფუნდებული მხატვრული ტრადიციები წარმატებით ვითარდება. შემოქმედებითი თანამეგობრობა ავტორებთან, აქტუალური ოპერეტების სცენური ხორცშესხმა, მნიშვნელოვანი მოვლენების ასახვა, ჩვენი თანამედროვე საბჭოთა ადამიანების სწრაფვისა და ოცნების წარმოსახვა — აი, გზა, რომელსაც ირი თეატრი წვლია ადგას ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრი.

ჩვენი რეალური პირობებთან



ამას წინათ საზოგადოება „ცოდნამ“ მოაწერე უფრად „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის კოლექტივის შეხვედრა შეიხვედრებთან. შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ობილიბის პირველი მაიხის სახელობის რაიონის გამგეობის პასუხისმგებელმა მღვანამ ევა თვალაძემ. უფრანლის შოვაჩი რედაქტორის მოადგილემ ოთარ სეფოაშვილმა მსმენელებს მოუთხრო უფრანლის მუშაობის შესახებ, გააცნო მოშავალი გეგმები, რომლებსა დასახული აქვს რედაქციის კოლექტივს დიდი ოქტომბრის მწვლისთავის შესახებაც. აგრეთვე ქართული მხატვრული კინემატოგრაფიის ნახევარსაუკუნოვანი თარიღის აღსანიშნავად, შემდეგ სიტყვებით გამოვიდენ უფრანლის პასუხისმგებელი მღვანე ლეილა თვალაშვილი, მუსიკის განყოფილების გამგე მანანა ამბეტილი და თეატრის განყოფილების გამგე გივი მარაშიძე. შოა ვრცლად ილაპარაკეს თეატრის განყოფილების მუშაობაზე და შორიც ამოცანებზე, განსაკუთრებით გამაზადელს ეურადლება იმაზე თუ როგორ აპირებს უფრანლი იმ მიწვევების ასახვას, რომელიც მოპოვებული აქვს ქართულ ხელოვნებას საბჭოთა სახელმწიფოს დიდი თარიღისათვის.

დასასრულს გამოვიდა უფრანლის შოვაჩი რედაქტორი ოთარ ევაძე მან ილაპარაკა უფრანლის დარსების ისტორიაზე, მის შემდგომ მუშაობასა და მომავლის გეგმებზე.

ირაკლი

ორიკურის

ჰელურობა



მუზეის

ციტი მაჩაბელი

ლელოვნების ისტორიაში ახლის წარმოქმნა თითქოს ზუსტი თარიღებითა და კონკრეტული მოვლენებით არ აღინიშნება. ეს პროცესი მუდამ ძალზე რთულია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს რაღაც მიჯნა, საიდანაც განვითარება იწყება. ხშირად ეს უბრალო შემთხვევა, ან უნიშვნელო ფაქტია, მაგრამ სწორედ აქედან იღებს დასაბამს ახალი „წელთარღიშება“.

ქართული ჭედურობის განახლების „დაბადების დღე“ შეიძლება 1953 წელი მივიჩნიოთ, როდესაც ახალგაზრდა მოქანდაკემ ირაკლი ოჩიაურმა თბილისში რესპუბლიკურ სამხატვრო გამოფენაზე წარმოადგინა თავისი მასწავლებლის აკობ ნიკოლაძის ჭედური პორტრეტი (თითბერი). აქედან შეიძლება ვივარაუდოთ ირ. ოჩიაურის, როგორც ჭედურობის ოსტატის, შემოქმედების დასაწყისი, და სწორედ ქართული ჭედურობის განახლებაც ამ ოსტატის სახელთანაა დაკავშირებული, განახლება ქართველი ხალხის ამ ძველთა-ძველი ხელოვნებისა, რომელმაც თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე არაერთხელ განიცადა ბრწყინვალე აყვავებისა და დროებითი დაქვეითების პერიოდები.

ჭედურობისა საქართველოში უცხო და უჩვეულო რამ როდი იყო. საემარისა გავისხნით, რომ უძველესი ხანიდან პლასტიკური სახეების გადმოსაცემად საქართველოში ყველაზე სასურველ მასალას ლითონი წარმოადგენდა. მკვლევართა მიერ არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ეკლესიის აკრძალვამ შუასაუკუნეებში შეაფერხა ქართული კანდაკების განვითარება. ქართველი ოსტატები მოკლებულნი იყვნენ საშუალებას გამოხატათ თავისი ასრები და განცდები მრავალ კანდაკებაში და სწორედ ამ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო ქართველ ოსტატთა ცდები, მათი ტალანტი ჭედური ხელოვნებისკენ წარიმართა. სწორედ ჭედურ ხელოვნებაში გამოვლინ-

და მთელი სიძლიერით ქართული პლასტიკური ხელოვნების შემოქმედებითი სული. ამას მოწმობენ ბრწყინვალე ძეგლები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე დროს შემოუნახავს. ისინი უხვად მოიპოვება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ეკლესია-მონასტრებში.

ჭედურ ხელოვნებას ქართველ მხატვართა ახალმა თაობამ თავისი ადგილი მიუჩინა ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში. ძველი ეროვნული ხელოვნების ურთ-ურთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი სრულიად ახალი თვისებებით, ახალი ხარისხით, ახალი ამოცანებითა და ახალი მხატვრული ხერხებით აღსდგა.

თუ თავდაპირველად აღორძინებული ქართული ჭედურობა ერთეულთა გატაცების საგანს წარმოადგენდა, ახლა ოსტატთა რიგების ზრდამ, ნამუშევართა დიდმა რაოდენობამ და მრავალფეროვნებამ ჭედურობა თანამედროვე ქართული ხელოვნების სრულყოფილნი და რგად აქცია, დარგად, რომელსაც დღეს ბევრი თავყვანისმცემელი ჰყავს როგორც ჩვენთან, ისე ჩვენს საზღვრებს გარეთაც.

ქართული ჭედური ხელოვნების აღორძინებას ბევრი მიზეზი გააჩნდა. მთავარი იყო მხატვრების მისწრაფება ლითონისადმი, როგორც მასალისადმი, მასალაში მუშაობისადმი. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქართული საზოგადოების ინტერესი ჭედური ხელოვნების პირველი ნაწარმოებებისადმი, მათი გამოჩენისთანავე სამხატვრო გამოფენებზე. ეს ინტერესი, რომლის ფესვები ღრმა წარსულში უნდა ვეძიოთ, ძლიერი სტიმული იყო ჭედურობის ოსტატთა შემდგომი ცდებისა და წარმატებებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჭედურობის ნაწარმოებთა შექმნის პრაქტიკულ შედეგებს. მათ სწრაფად მოიცადეს ფეხი თანამედროვე ქართულ არქი-



გოგონა

ლის ნაკეთობებში — გარკვეული მონუმენტალობა, კომპოზიციური ოსტატობა, დახვეწილობა, ეროვნულ-საქართველო-სეზონური მხატვრული გამოსახვის ხერხებს, წინდა ტექნიკურ ხერხებს მასალის დასამორჩილებლად.

სახელოსნოში მუშაობა გრძელდებოდა, მაგრამ ნამუშევრები სახელოსნოს ფარგლებს არ სცილდებოდა. მოჭანდაკე ეუფლებოდა მასალას, ეძებდა მხატვრული გამოსახვის ხერხებს, წინდა ტექნიკურ ხერხებს მასალის დასამორჩილებლად.

გატაცებით მუშაობის წლებმა კარგი შედეგი გამოიღო. გამოფენაზე გამოჩნდა ირ. ოჩიაურის ქედური პანი „დილა“ (1960). გზა მასწავლებლის პორტრეტიდან ამ ნამუშევრამდე საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა, და ეს სასვებით კანონზომიერი იყო, რადგან ირ. ოჩიაურს გაუკვალაღვი გზით უნდა ევლო, თვითონ უნდა ამოერჩია საკუთარი ხელწერა, თვითონ უნდა მიეგნო სწორი გადაწყვეტისათვის. ამაში იყო გზის გაკაფვის თავისებური სინდრე და ბედნიერებაც. ქართული ქედურობის სხვა ოსტატებს ჩამოყალიბების ასეთი ხანგრძლივი პერიოდი არ ჰქონიათ. მთავარი გზა უკვე არსებობდა და ახლა რა გზითაც არ უნდა წასულიყო მათი შემოქმედება, ძირითადი სინდრელები მათ უკვე გადალახული დახვდათ, პირველი სიტყვა — ნათქვამი. ახლა როგორც არ უნდა წარიმართოს ქართული ქედური ხელოვნების განვითარება, არ შეიძლება გვერდი აუვარდოთ იმას, რომ ქართული ქედური ხელოვნების ახალ შენობას საძირკველი ირ. ოჩიაურმა ჩაუყარა.

„დილა“ უკვე სასვებით მომწიფებული ნაწარმოებია, კარგად გახსნილი თემით, გარკვეული მიზანსწრაფვით. აქ უკვე თავს იჩენს ის ძირითადი ელემენტები, ის ამოცანები, რომელნიც შემდგომში მნიშვნელოვანი იქნება მის ნაწარმოებებში. შემოქმედის მთავარი ამოცანა — ქედური ხელოვნების ხერხებით გამომსახოს ნორჩი სხეულის მშვენიერება.

ამ ნამუშევარში იგრძნობა ნახატის კარგი ოსტატი. ფიგურა თითქოს ხელის ერთი მოხმით, მძლავრად არის გამოკვეთილი. თუმცა რელიეფი დაბალია, მოქანდაკის ნაცანმა ხელმა ლითონში მშვენიერად გადმოსცა ნორჩი სხეულის სითბო და სიმძლიერე. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ერთგვარი მანერულობაა პოზაში, ოდნავი სტილიზაცია, რბილი, პლასტიკური გადასვლებით შესრულებული ეს პანი მავორულ, სიცოცხლოთ გახვ განწყობილებას ქმნის.

ქალის სხეულის ზედაპირი გლუვია, ლითონის გაპრალიებული ზედაპირი კარგად უპირისპირდება ფონს, რომელიც თვითონაა დამუშავებული. კონტრასტი გლუვ სხეულსა და ცხოველბატულ ფონს შორის გარკვეულ დინამიკას ქმნის. გამოსახულების ფონიდან გამოსაყოფად ასეთი ხერხია ნახშიარი — სხეულის კონტურის გაყოფაზე საჭიროსით შექმნილია მოკლე პარალელური შტრიხების ზოლი, რომელიც ოდნავი დაშორებისას კარგ ეფექტს იძლევა ფონიდან სხეულის მკაფიოდ გამოსაყოფად. ეს ხერხი შემდეგ ნამუშევრებშიც წარმატებითაა გამოყენებული.

ეს მოტივი — ქალის შიშველი სხეული — ხშირად მეორდება ირ. ოჩიაურის შემოქმედებაში. მან ამგვარი პანოების მთელი სერია შექმნა. კომპოზიციური გადაწყვეტა თითქმის უცვლელია: ფუზიონობული ქალის ფიგურა. ამ ნამუშევრებს

ტექტურაში. სწორედ ამ ახალი არქიტექტურის მოთხოვნებმა განაპირობა კედლის პანოების, მონუმენტური ქედური ნაწარმოებების შექმნა. ქართული ხელოვნების ამ დარგის მომავალი განვითარების საწინდარია ის, რომ იგი ჩაიხსნას და განვითარდეს ხალხის მოთხოვნილებასთან მჭიდროდ დაშორებულედაში.

ირ. ოჩიაური ქართული ხელოვნების უძველესი დარგის აღორძინების პიონერია. მისი გატაცება სასვებით გასაცემა. იგი როგორც მოჭანდაკე, ეძებდა მასალას პლასტიკური გამოხატვის სახელოსნოსათვის და ბუნებრივად მივიდა ლითონთან. ეს იყო მოჭანდაკის პროფესიული გატაცება ახალი მასალით. ასეთ გატაცებას შეიძლება ისიც უწყობდა ხელს, რომ ირ. ოჩიაური წარმოშობით ხევსრეთიდანაა. საქართველოს ამ მთიან კუთხეს კი ყველაზე დიდხანს შემოერჩია ძველი ხალხური ხელოვნების ტრადიციები, მათ შორის ოქრომჭედლობისაც.


ი. ნიკოლაძის პორტრეტის შემდეგ ირ. ოჩიაური განაგრძობს გულომდგინე მუშაობას ქედურსონობაში. ამ დროს საქართველოში გაერკედა ვერცხლის ქედური სამკაულები — გულსამნევეები, ყელსამაშები, მუცლიონები, თმის სამკაულები (ვერცხლის სამკაულების შექმნაზე ირ. ოჩიაურთან ერთად მუშაობდა გ. გაბაშვილი). თუმცა ეს სამკაულები დიდი რაოდენობით იქმნებოდა და პოპულარული იყო, მაინც ეს არ იყო ჯერჯერობით ის ნამდვილი შემოქმედებითი ნაწარმოებები, რომლებიც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ახალი ქედური ხელოვნების დასაწყისად. ეს უფრო მოსამზადებელი ეტაპი იყო, პირველი ნაბიჯები იმისა, რაც შემდეგ მომძლავრდა და ფეხი მოიკიდა ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ არ შეიძლება იმის უუღლველყოფაც, რომ ბევრი რამ, რაც მიღწეული იყო ამ ვერცხ-

ერთი საერთო ამოცანა აერთიანებს — ლითონში პლასტიკური მოცულობების გამოვლენის საუკეთესო ხერხების ძიება; ყველა მათგანში მთავარი ყურადღება გადატანილია თვით სხეულზე, სახე კი საკმაოდ ზოგადადაა დამუშავებული. აქ მატერული და ტექნიკური ხასიათის საინტერესო ამოცანებია დასმული. თვალი რომ გადავაგვლოთ ამ გამოსახულებებს, არც ერთ მათგანში თითქმის არ გვხვდება ერთნაირი ხერხები როგორც ფიგურის, ასევე ფონის დამუშავებაში.

„დილა“ შესრულებულია 1960 წელს. შევადართო მას ჩამდენიმე წლის შემდეგ შექმნილი მეორე ფირფიტა მჯდომარე ქალის ფიგურით. აქაც ფუნქციონირებელი ქალის შიშველი ფიგურა აესებს მთელ ფირფიტას, აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს გადაჯვარედინებული ფეხებისა და ზემოთ აღმართული ხელების დაძაბულ რიტმს. მაგრამ მსგავსება მხოლოდ ამით ამოწურება. გვიანდელ ნამუშევარში უარყოფილია პირველისთვის დამახასიათებელი სტილიზაცია, ოდნავი მანერულობა. გამოსახულებაში მთავარია მეტყველი ნახატი, ხაზთა რიტმი, რაც ზედაპირის დეკორატიულ დამუშავებასთან ერთად თავისებურ გამომსახველობას ანიჭებს ამ პანოს. თუ პირველ ფირფიტაში სახე მეორეხარისხოვანი რამ იყო და მთავარი ყურადღება სხეულის გადმოცემაზე იყო გადატანილი, აქ სახე საერთოდ აღარ ჩანს ზეაღმართულ ხელებს უკან და მთელი ყურადღება შეჩერებულია თმების ტალღოვან მასაზე.

სხეულის ზედაპირი ფარფლისმაგვარადაა დამუშავებული. ეს ხერხიც გამოიყენება სხეულის მოცულობის გამოსავლენად: რელიეფურ ნაწილებში ეს ხორკლები უფრო საგრძნობია, ჩახსტილ ადგილებში კი თითქმის შეუმჩნეველი. ამგვარად, მონახულია პლასტიკური ფორმების გადმოცემის დამატებითი ხერხი. თუმცა ეს ხერხი არ არის აღებული ლითონის დამუშავების ხერხების არსენალიდან, მაინც იგი ბევრგან საესებით გამართლებულად მიგვანჩნია, თუკი გაპირობებულია მხატვრული ჩანაფიქრით. პლასტიკური ფორმების გამოვლენასვე ემსახურება ფირფიტების დაფერვის ხერხი. ფონი ჩამუქებულია, ჩამუქებულია აგრეთვე რელიეფის ჩაღრმავებული ნაწილები, ღია ფერი შერჩენილი აქვს რელიეფის ამოწეულ ნაწილებს. ამ შემთხვევაში ფერი გამოსახულებაში აქცენტებს ანაწილებს.

„მხატვარი“ — ასე უწოდა ირ. ოჩიაურმა თავის ერთ-ერთ ბოლო ჰედურფილას. კვადრატულ ჩარჩოში მჭიდროდაა ჩაწერილი ქალის ფიგურა. იგი ძალზე კომპაქტურია, შეკრული. სხეულის დამუშავებაში მოქანდაკის ხელი ვლინდება. კონტური მკაფიო და მოწინილია. სხეულის რელიეფი დაბალია. ერთადერთი, რაც მკაფიოდ გამოიყოფა — თმის მასაა, შუბლიან გადაჭკერილი სახიანი ბაფთით. თმის ზედაპირი გაყოფილებულია საჭრისის პარალელური ტალღოვანი ხაზებით. ზურვის ტალღოვანი ხაზი, ხელების გადამკვეთი ნახატი, ჩარჩოთა გადაჭკერილი თმის მასა — ყველაფერი ეს ქმნის შინაგან რიტმს ამ წყნარ, მშვიდ გამოსახულებაში. დიდი გემოვნებისაა ნახშიარი პატივითება. ფირფიტას ლითონის ბუნებრივი ფერი აქვს შენარჩუნებული. ფორმის უკეთესი გამოვლენისათვის ოდნავ არის მხოლოდ ჩამუქებული ჩაღრმავებული ნაწილები.



წვიარო

ამ რელიეფურ პანოში სხეული და ფონი ერთნაირად არის დამუშავებული საჭრისის გაფანტული მონასმებით. ეს ხერხი ფირფიტის გარკვეული წერტილიდან განათებისას სხეულს რაღაც განსაკუთრებულ მთროლოვანებასა და სიციცლეს ანიჭებს. იგივე ხერხი თითქმის აღრმავებს ფონს.



ირ. ოჩიაურის ჭედური პანოების ამ ჯგუფის მაგალითზე კარგად ჩანს, თუ როგორ ეძებს მხატვარი შესაფერის მხატვრულსა და ტექნიკურ ხერხებს ლითონში ადამიანის სხეულის გადმოცემისათვის. მასთან ხშირად შეუღლებით ერთი და იგივე თემის განმეორებას, რაც ამკარას ხდის მხატვრის ძიებათა საინტერესო სურათს. ეს უბრალო გამოტობა არ არის, რადგან ყოველ ახალ ნაწარმოებში მიგნებულია რაღაც ახალი, მხატვრული თუ ტექნიკური თვალსაზრისით. მხატვარი განსხვავებული ფაქტურის გადმოსაცემად მრავალფეროვან ტექნიკურ ხერხებს ხმარობს, მაგრამ მასთან არასდროს არ გვხვდება გატაცება სხვადასხვა ტექნიკური ეფექტებით. უმეტეს შემთხვევაში ესა თუ ის მხატვრული ხერხი ორგანულად გამოდინარეობს შემოქმედის ჩანაფიქრიდან, არასდროს არაფერია ყალბი და ნაძალადევი. მისთვის დამახასიათებელია ჯანსაღი, ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენების მიმართ, მხატვრული ხერხების ოსტატური შერჩევა. ერთგულმა გარკვეული სიუჟეტისადმი ამ ხელოვანის

კარგ თვისებას წარმოადგენს¹. ხელოვნების ახალი დარგის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პირობებში ასეთი სურებები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუშაობა საგნებით გამართლებულია, რადგან უფრო ამკარას ხდის მიწვეულის ღირსებასა და შედეგობებს².

განხილულ ნამუშევრებში ცხადი ხდება განვითარების გარკვეული გზა — გლუვუნდაპირიანი, სკულპტურულად შეფიქრებული და მუშავებული, ფონიდან მკვეთრად გამოყოფილი სხეულთან, სხეულის რთული დეკორატიული დამუშავებისაკენ, წინიდან ჭედული ხერხების გამოყენებით.

ასეთივე თვისობრივი ზნად, ასეთივე განვითარება ჩანს ირ. ოჩიაურის სხვა ნამუშევრებშიც. მნიშვნელოვანი ადგილი მის შემოქმედებაში ეთმობა ქართულ ცეკვას. საგნებით ბუნებრივია, რომ მოქმადევე ტურთის ნაწარმოებების შექმნის პირველსავე ნაბიჯებიდან ყურადღება მიაპყრო პლასტიკურად ისეთ გამოშვასველ თემას, როგორც ქართული ცეკვები. ირ. ოჩიაურის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელმაც იმთავითვე მიიპყრო ყურადღება, სწორედ ქართულ ცეკვას მიეძღვნა. ეს იყო 1952 წლის გამოფენაზე წარმოდგენილი „სამაია“. ეს სამოტივო კომპოზიცია, ძალზე დინამიური, ვოკალიური, მკვეთრი რიტმით, სამკუთხედის პირნიკაზეა აგებული. ქართულ კაბათა მძიმე, შრილა ჭოვილის მასა ქმნის საყრდენს მთელი კომპოზიციისათვის, ზემოთ იგი ხელების ნახატის ნატიფი არაბესკეითაა დაგვირგვინებული. „სამაია“ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი პლასტიკურობით, შინაგანი მოძრაობით, ეროვნული იერით. მაგრამ ამ პირველ „საცეკვაო“ პანოში ერთგვარი მანერულობა შეიმჩნევა, რაც შემდეგ მის ნამუშევრებში საკმაოდ იშვიათი გახდება.

„ქალი დაირით“ — მოცეკვავე ქალის გამოსახულების რამდენიმეჯერ მეორდება ირ. ოჩიაურთან. ეს ვერტიკალური ერთფეროვანი კომპოზიციებია მძაფრი რიტმითა და შმაგი მოძრაობით, რომელიც თითქმის ექსტრაშემდე მიდის. მოცეკვავე ქალების ტანსაცმელი საკმაოდ განზოგადებულია — თქმის თავებთან ქამრით გადაჭერილი გრძელი გაფართოებული კაბა, რომლის ნაეკვები მთლიანად აცხებენ კომპოზიციის ქვედა ნაწილს. ამ გამოსახულებებში, სადაც პროპორციები დაგრძელებულია და მოძრაობაც ოდნავ სტილიზებული, დიდი მნიშვნელობა აქვს ხაზოვან რიტმს, შინაგან დინამიკას. ძლიერი ექსპრესია ელნიდება ყველაფერში — ქალის სხეულის პლასტიკურ მიმოხიზვაში, გვერდზე გაწვილ ან დაირით ზემოთ ატყორცნილი ხელების ხაზებში, თმებისა და ლეჩაჭის აფრიალებული ბოლოების ნახატში, ფონის დამუშავებაში. აქაც, როგორც ამ მხატვრის ყველა ჭედურფლაში, ფონი კომპოზიციის ქმედითი ელემენტია, იგი ხელს უწყობს საერთო განწყობილების შექმნას.

ც.ა.ა.ბ.



¹ იგივე შეინიშნება ჭედურობის სხვა ოსტატთა შემოქმედებებშიც. მაგალითად, გ. ზაზაშვილთან, რომელიც თავისი „ხევისურული“ თემის ერთგული რჩება წლების მანძილზე.

² ამის საწინააღმდეგოდ, თემატიკისა და მოტივების დიდი ნაირსახეობა და შესრულების განსხვავებული მანერა, რაც ასე ხშირია ქედულ ხელოვნებაში, ახალგაზრდა ოსტატთან, სრულბოძაც არ ნიშნავს მის ფართო დიაპაზონს, არამედ დაგვიფიქრებს იმ საეჭიო სიხვედრეზე, რომლითაც ისინი გადიან ერთი მხატვრული მანერის დასაქმებულზე, რასაც საბოლოოდ საერთო მხატვრული ენისა და სხვის დაკარგვა მოსდევს.

„სამაიასთან“ შედარებით ამ ნაწარმოებებში ბევრი რამ არის ახალი მხატვრული ხერხების თვალსაზრისით. უფრო მდიდარი გახდა მხატვრის ტექნიკური შესაძლებლობანი, უფრო მრავალფეროვანია ფონისა და რელიეფის დამუშავებაში გამოყენებული ტექნიკური ხერხები, უფრო სრულყოფილი — პლასტიკური და დეკორატიული ელემენტების შეხამება.

ქედურ კომპოზიციითა ერთი ჯგუფი დათმობილი აქვს ავთა ცეკვებს. პირველი პანო „ხოროში“ გამოიფინა 1965 წელს. იგი ექსპონირებული იყო აგრეთვე მოსკოვში გამართულ ქართული ხელოვნების დიდ გამოფენაზე. ამ კომპოზიციისათვის ისევე, როგორც ირ. ოჩიაურის სხვა ნაწარმოებებისათვის, დამახასიათებელია გაბეღული, მოწინილი ნაბატი, კომპოზიციის კარგი აგება; რთული მოძრაობა არაჩვეულებრივი სიადგილითაა გადმოცემული. „ხოროში“ ძირითადი განწყობილება იჭნება სამი მშვენივრად აგებული პლასტიკური სხეულის დინამიკური მოძრაობით. ეს დინამიკა გაძლიერებულია ფონის დამუშავებით, ურთიერთგადამკვეთი დიკოინალური ხაზების ბაღ თითქოს მთიანი პეიზაჟის ილუზიას ქმნის. ფირფიტის ზედაპირი ჩამუჭებულია, ოდნავ გამონათებულია მხოლოდ რელიეფური დეტალები.


იგივე ცეკვა წარმოადგენს ირ. ოჩიაურის ორი სხვა დეკორატიული პანოს თემას. პირველი მათგანი ფრიზულადაა აგებული. იმ კომპოზიციისაგან განსხვავებით, სადაც სამივე ფიგურა შეკრულია ერთ მძლავრ კვანძად, შეკუმშულ ზამბარასავით, აქ ეს ზამბარა უკვე გაშლილია და შთავარია ღალი, თაყისუვლია როგვან. ინტერვალები ფიგურებს შორის აძლიერებენ დინამიკას, გვერდითი ფიგურების მოძრაობა კრავს ფარგოლად გამოლილი კომპოზიციას, და კარგად ეპასუხება ცენტრალური ფიგურის არწივისებურ ხელგამშას. მოცეკვავეთა სახის ნაკვთები ოდნავაა გამოკვეთილი, ტანსაცმლის დეტალები არ არის დაზუსტებული, შთავარი ყურადღება გადატანილია საკუროც ცეკვაზე. აქ გრძელდება ის ხაზი ირ. ოჩიაურის ჭედური შემოქმედებისა, რომელიც მიდის მეტი განზოგადებისა და მონუმენტალიზაციის გზით. ყოველ ახალ ნაწარმოებში მხატვარი პოულობს საჭირო ხერხებსა და ორიგინალურ კომპოზიციურ გადაწყვეტას მისთვის საინტერესო ქართული ცეკვის თემაზე კიდევ ერთი ნაწარმოების შექმნისათვის.

ირ. ოჩიაურის ყოველ ნაწარმოებში ჩანს მხატვრის ღრმა ინტერესი მასალისადმი, ყოველი ახალი კომპოზიციის ამ ინტერესის, მისი ძიებებისა და ცდების შესანიშნავი მაგალითია. ლითონში მუშაობისას იგი ხშირად თითქოს განზრახ ირთულებს ამოცანას, ცეკვა იქნება ეს თუ რაიმე სხვა სიუჟეტური პანო. მთელი ყურადღება მიმართულია ადამიანის სხეულის საუკეთესოდ გადმოცემისაკენ. იგივეა კომპოზიციისაში „მზის მოსვლა“, სადაც ამომავალი მზისიკე მგზნებარედ მისწრაფებული ქალისა და ვაჟის ფიგურებში მთელი სისასებით გამოფინდა ირ. ოჩიაურის — მოქანდაკისა და ქედუროსნის სუფთესი მხარეები. კომპოზიციის ოსტატურადაა შეკრული, კარგადაა გამოყენებული კონტრასტი ვაჟის მძლავრ, კუნთოვან სხეულსა და ქალის თხელ, ნატყფ ფიგურას შორის. მიწზე მუხლით დაბჯენილი, რთულ მოძრაობაში ხელედაღმარული ვაჟის ფიგურას ნაზად ემხაზურება ქალის მოძრაობის ტალღა, რომელიც ტრფებიდან დაწყებული უელის მიუღ



ფირისმანი

„და აღმოხლებს მზე“.





სხეულს და შვისიკენ გაწეულ სხეულში გადადის. გამოანთებული ფონი, საჭრისის მოკლე მოხამებით ჭარბად დასერილი, შვის სხივებით განათებულ, მოციმციმე სივრცეს ქმნის ფიგურების გარშემო.

ირ. ოჩიაურის რამდენიმე საინტერესო დეკორატიული პანოს აქორია. „ჯიხვები“, „ვეფხვები“. ფირფიტებში გრძობით მხატვრის ნამდვილ გატაცებას ჯიხვის ხსარტი, მსუბუქი ნახტომითა და ვეფხვთა რბილის მშავერი პლასტიკით. ყველაფერი გააზრებულია ამ თითქმის და მარტულ ნაწარმოებებში, ყოველი დეტალი მხატვრის ჩანაფიქრის გახსნას ემსახურება, იჭრება ეს პუნსონირებული ფონი, თუ ინტერვალი ფიგურებს შორის, მგვეთრად შემოსაზული კონტურით თუ ჯიხვების რქების ატყორცნილი ნახატია.

ლითონში მუშაობამ ირ. ოჩიაურის წინაშე ბევრი საინტერესო ამოცანა დასვა, ბევრი რამ იყო გადასაწყვეტად და დასაძლევად — ადამიანის სხეულის გამოყენება ახალ, უჩვეულ მასალაში, მიშველი სხეულის ძირწვა თეგითა და საჭრისით, რელიეფის სწორად აგება და ბევრი სხვა. ბუნებრივია, რომ მოჭრისი ინტერესები ადამიანის სახის გამოყენებასაც შეხება. პირველი ცდა ამ მიმართულებით იყო პანო „შემოდგომა“ (1964). ფირფიტაზე გამოხატულია ქალის პროფილი — სწორდაკეთიანი ღამაში სახე, მალალი, მოღერებული კისერი, რელიეფი ძალზე ცხოვრებატულია თავისი დამუშავებით: პუნსონირებული ფონი, სადაც პუნსონები გარკვეულ რიტმს ემორჩილებან, ტალღოვან ზოლებადანა დალაგებული, თვის ტალღებში შერეული ვაზის ფოთლი და უკრანის მტკვრით დამოხმებული ვაზის რტო, საყვოსა და გულსპირის სამკაულები. ეს თითქმის და ჭარბი სამკაულები საესკვით ბუნებრივი ექვეყნება ამ გამოსახულებაში, რომელიც შემოდგომის ბარაქა და ხვავის სიმბოლოდ გვევლინება. განზოგადებული სახე შორეულ ასოციაციებს იწვევს, იგი თითქმის ქართული გარანტია უძველესი ანტიკური „ვახუტის“ გამოსახულებებისა.

ადამიანის სახის გადმოცემისადმი ინტერესმა განაპირობა ნაწარმოებთა მთელი სერიის შექმნა („ქართული ქალები“). პირველი ამგვარი ნაწარმოების წარმატებამ გამოიწვია ამ შოტის — ქართული ქალის თავების — ხშირი განმეორება. ტიპი თითქმის უცვლელია — სწორდაკეთიანი სახე, დიდი უმისიკერი თვალები მოკალმული წარბებით, ხშირი ტალღოვანი თმა. თუმცა ეს ფირფიტები საკმაოდ ერთფეროვანი არიან, თითოეულ მათგანში არის რაღაც საინტერესო მხატვრული ხერხების თვალსაზრისით. ყოველი მათგანისათვის და მასისათვისა გარკვეული განზოგადება, მონუმენტურობა... ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „ხევისბერი გოგონა“ აქ კარგად ჩანს ის თვისებები, რომელიც დამახასიათებელია ირ. ოჩიაურისათვის, როგორც ქედროსინისათვის — ისხადავე, პლასტიკური მხარის წინაშეაშოყვეა, მხატვრული ვნის ლაკონურობა, ზომიერება სამკაულის გამოყენებაში, გარკვეული მონუმენტურობა, მხატვრული და ტექნიკური ხერხების ფართოილი შერჩევა, რაც ყოველ ნაწარმოებში კონკრეტული მხატვრული ამოცანიდან გამომდინარეობს, სამყაროს რეალისტური აღქმა, გადაჭარბებული სტილიზაციისა და ფორმის დეფორმაციის უარყოფა.

პორტრეტული ნაწარმოებების შექმნას მხატვრულად მომთხოვნულობით ვკიდება. ამიტომაც, რომ ამ უკანასკნელში ლეგები მის შემოქმედებაში არც ისე ბუკრია. მის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პორტრეტს და საერთოდ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქედურ ნაწარმოებს წარმოადგენს ბოლო წლების შესრულებული ნიუ ფირისმანიშვილის პორტრეტი (თითბერი). ნამუშევარი იგრძნობა, რომ ავტორისათვის უკვე აღარ არსებობს სიმძლეული ლითონის დამუშავებაში. იგი იმდენად არის დაფიქრებული ლითონს, როგორც მასალას, რომ მისთვის მთავარია არა ის, თუ როგორ სრულდება ნაწარმოები, არამედ — რა შეიქმნება. ამ პორტრეტში მიღწეულია ის საფეხური, როდესაც მთავარი ყურადღება ექცევა გამოსახულების ღრმა აზრობრივ მხარეს. იგი უფრო მეტია, ვიდრე ქედური ნაწარმოები, თითქმის სცოლდება წმინდა ქედვის ფარგლებს და ისინსლორცებს ისეთ ელემენტებს, რომელიც დამახასიათებელია ფერწერისა და გრაფიკისათვის.

ამ პორტრეტში გამოჩნდა ირ. ოჩიაურის ნიჭის სრულიად ახალი მხარეები. გიპკობით პორტრეტის ფსიქოლოგიური გადაწყვეტის სიღრმე და მართლაც, ყოველი მხატვრული ხერხი ემსახურება მშფოთვარე, უღიშალო ბუდის მქონე მხატვრის ტრაგიკული, მღელვარე სახის გახსნას. რელიეფი ძალზე დაბალია, ფორმების პლასტიკური დამუშავება, როგორც ეს დამახასიათებელია ირ. ოჩიაურის ნამუშევრებისათვის, აქ არ არის, საშავიეროდ, გამოჩნდა ლითონის, როგორც მასალის ახალი ფართო შესაძლებლობები.

პორტრეტის კომპოზიცია მარტივი და ლაკონურია. მარჯვენა მხარე მოლიანად უკავია მხატვრის სახეს, მარცხენა ნაწილში — მხატვრის ხელი ბალახის დერით და შვის დისკო. მოგძობი, გამხდარი სახე, დაძმებული ქუთუთობები, ნაოქბით დაღარული შუბლი, წარბების სვედიანი ტენილი ხაზი, შთავიერებული მწერა, სუდა და ფიქრი, ასეთია ირ. ოჩიაურის „მარტოსული“, მხატვარი, რომლის ბუდი ვერავის ვერ სტოვეებს გუდერაილს.

პორტრეტის განწყობილებისათვის მნიშვნელოვანია ფერადღვანი ელემენტის გამოყენება. ფირისმანის სახე მღიერადაა ჩამოქუბული, მხოლოდ აქა-იქაა გამოსათებული ცალკეული ნაკვთები, რაც წმინდა ფერწერული მონასმების შთაბეჭდილება სტოვებს. ფონი უფრო გამოანთებულია, რაც შშით გამთბარი სივრცის განწყობილებას ქმნის. გადატეხილი ბალახის ღებრი მხატვრის ხელში ერთგვარ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს.

ირ. ოჩიაურის მიერ შესრულებული ეს პორტრეტი მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ნიუ ფირისმანის პორტრეტების მდინარე გადერევაში. ეს ქედურფილები საპატრიადიღს დაიკავებს ამ მხატვრის ფერწერულსა და გრაფიკულ პორტრეტებს შორის.

დაუმრეტელია ირ. ოჩიაურის შემოქმედებითი ფანტაზია, მრავალმხრივია მისი ინტერესები და მრავალფეროვანია მისი ქედური ნაწარმოების შთავიერების წყაროები. ერთი რამ კი საერთოა მათთვის: ყოველ ნაწარმოებში გროუნული, ქართული ძარღვი ფეოქავს. „ხევისბერი მოზაიკი“, „მილოცვა“ „ტიციან ტაბიქისი“, „მოხუცი აჭარლების ცეკვა“, „საქართველოს ვენახებს“, „წყეყმისი“ — ყველა ამ ნაწარმოებში ირ. ოჩიაური

წარმოვიდგება, როგორც ორიგინალური, გაბეღული მხატვარი, რომელიც თავისუფლად ფლობს მასალას, კარგად ათანხმებს ფორმების პლასტიკურ დამუშავებას გარკვეულ დეკორატიულობასთან, ოსტატურად არჩევს ქედურობის ხერხებს ყოველი კონკრეტული ნაწარმოებისათვის.

ქედური ხელოვნება დღით დღე სრულყოფას განიცდიდა, წარმატება წარმატების მოსდევდა, ყოველ გამოფენას ახალი ნაწარმოებები, ახალი სახელები მოჰქონდა. ნაწარმოებთა სიყვარულს მხოლოდ გამოფენები როდი განაზღვრავდნენ, ისინი მხოლოდ საგამოფენო ექსპონატებს აღარ წარმოადგენდნენ. არამედ ჩვენი ცხოვრების აუცილებელ, ჩვეულებრივ ელემენტებად იქცნენ. ქედური პანოები კარგავენ კამერულ ხასიათს და ახალი თვისებებით მკვიდრდებიან ჩვენს სინამდვილეში. ახლა წინ არის წამოწეული ის მონუმენტალობა, რომელიც უკვე კარგა ხანია თავს იჩენდა ამ ნამუშევრებში. ახალი ქართული არქიტექტურის მოთხოვნებმა გამოიწვია კედლის პანოების, მონუმენტური ქედური ნაწარმოებების შექმნა. სწორედ ამ პრაქტიკულ შედეგებს სქონდა გადაწყვეტი შნიშნელობა ქედური ხელოვნების შემდგომი ცდებისა და წარმატებებისათვის. წარმატებების მთავარი პირობა კი ის იყო, რომ ქედურობის ოსტატური მუშაობა არქიტექტორთან შეთანხმებით, ინტერიერი ყალიბდებოდა, როგორც ამ ორი შემოქმედის ერთობლივი მუშაობის შედეგი.

ამგვარი თანამშრომლობის ბრწყინვალე მაგალითია თბილისის „ქორწინების სახლი“ (არქ. რ. კვიციანი და შ. ყავლაშვილი). არქიტექტორთა ჩანაფიქრით „ქორწინების სახლის“ დარბაზების ინტერიერში ერთ-ერთ მთავარ დეკორატიულ ელემენტად უნდა ქედულიყო ქედური ხელოვნების ნაწარმოებები. ამ ახალი და რთული ამოცანის შესრულება არქიტექტორებმა ირ. ონიანურს მიანდეს.

არაფერს ვიტყვით შენობის არქიტექტურულ მხარეზე, მის პარამიულ ინტერიერებზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მასში არამეველებრივი სისრულით გამოიკვეთა ის მიღწევები, რაც გააჩნია დღევანდელ ქართულ არქიტექტურას, რომლის ღირებავს შეადგენს რაციონალიზმი, ბუნებრივი პირობების ოსტატური გამოყენება, გარემოსთან შეხამება, მაღალი მხატვრობა და ეროვნული კოლორიტი. არქიტექტორებთან ერთად წარმატება ქედურობის ავტორიაც განიზარა, მისი ქმნილებები ამ ნაგებობის ინტერიერების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად იქცა. ქედურობის ნაწარმოებებს ამ შემთხვევაში დიდი დეტირირება აქვთ — ისინი ანაწილებენ აქცენტებს ინტერიერში, გარკვეული ტონალობა შეაქვთ ნაგებობის ფერაღივრე ფერადობაში, ქმნიან შესაფერის ფსიქოლოგიურ განწყობას ამ დახვეწილ დარბაზებში.

პირველ დარბაზში მთავარ აქცენტს წარმოადგენს დიდი კვადრატული კომპოზიციის „ბედნიერი ოჯახი“ (სპილენძი). როდესაც ქედური ტექნიკით შესრულებული ეს პანო მშვენივრად იკითხება ბოლნისის ტუფის თბილი მოყვითალო ფერის ფიგურით მოპირფარებულ კედლის ფონზე. კარგად მონახული მასტაბი ამ მონუმენტულ პანოს ინტერიერის ორგანულ ნაწილად აქცევის. ორი დანარჩენი პანო უფრო მცირე ზომისაა („დალოცვა“, „ქალ-ვაჟი“), ისინი კედლის მეორე მხარესაა



ხევათი ეკა

ხოთაყვებული სხვადასხვა სიმაღლეზე და დიდი პანოს აკომპანიმენტს წარმოადგენენ. განსხვავებულია მათი ფერადობანი მხარე — ჩამუქებული ლითონის რელიეფები მკვეთრ ლაქებად გამოიყოფა იმა ფერის კედელზე. დიდი ოსტატობით შესრულებული ეს რელიეფები გარკვეულ შინაგან რიტმზეა აგებული და ამასთან ერთად კარგად ეფარდებიან ურთიერთს. ყველა რელიეფისათვის დამახასიათებელია პლასტიკობა, მონუმენტალობა, ლითონის ზედაპირის მაქსიმალურად გამოვლენა, ზომიერება სამკაულთა მხარეებში, მასალის ფერადობანი მხარის საუკეთესო გამოყენება.

ყველაზე საუკეთესო ელვადობას ქედურობა იღებს მეორე დარბაზში, სადაც თვალისმომჭრელად თვთვ, გოფირებული კედლის ფონზე გვერდინად ოსტატურად განათებული ლიევიგებენ ქალ-ვაჟის ქედური თავები. კონტრების მიხედვით გამოიკვეთილი ეს მონუმენტური ქედურობა ამ ინტერიერში განსაკუთრებულად გაიასრება. მძლავრად განათებული მოციმიმე ყველი ბიძგიერებებს პირდება ახალგაზრდებს. ეს არის მშვენიერი ნიმუში ხელოვნების ქეშმართი ნაწარმოების საუკეთესო პრაქტიკული გამოყენებისა. გამოყენებითი ხელოვნება აქ თავის უმაღლეს საფეხურს აღწევს.

ირ. ოჩიაურის ნაშრომები იმდენად ორგანულად შეერწყა არქიტექტურას, მხატვარი ისე კარგად ჩაწვდა ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრს, რომ ამ ქედური ნაწარმოებების გარეშე ეს შენობა ძნელი წარმოსადგენია.

ქორწინების სახლში ქედური ხელოვნების ტრიუმფი მხოლოდ ცალკეული ავტორების წარმატება როდია. ჩვენ აქ მოწამინ ვართ არა მარტო ირ. ოჩიაურის, როგორც ქედვის ოსტატის, მიღწევებისა, არამედ იმისიც, თუ რა ბრწყინვალე შედეგები მოიპოვება ქედურ ხელოვნებაში მაშინ, როდესაც ოსტატობას თან ახლავს დახვეწილი გემოვნება და შემოქმედებითი გაჭანება. საქართველოში დღეისათვის მთელი რიგი ახალი ნაგებობებია, სადაც ხელოვნების სინთეზის საკითხი ბრატკივულად არის გადაჭრილი და ამაში დიდი ღვაწლი სწორედ ქართულ ქედურობას ეკუთვნის.

ირ. ოჩიაურის ღრმად ეროვნულმა ქედურობამ ფართო აუდიტორია მოიპოვა. იგი ქართული ხელოვნების მიღწევათა ყველა ჩვენების მონაწილეა. მისი ნაწარმოებები არაერთგზის იქნა საგანგებოდ აღნიშნული (საბჭოთა კავშირის სახალხო მურწუნების მიღწევათა გამოცემის დიდი ვერცხლის მედალი — 1961 წ. და ვერცხლის მედალი — 1964 წ.). უცხოეთსაც სწევია — სკანდინავიის ქვეყნებში, კანადაშიც გამოიყენა ირ. ოჩიაურის „სამაია“, „ხეცსური მთიბაი“, „ხორუმი“, „ვეფხები“.

ირ. ოჩიაურის ქედური შემოქმედება სულ უფრო და უფრო იხვეწება, თემატიკა მდიდრდება. გეგმები დიდი და მრავალფეროვანია: ბარათაშვილის სახელობის ხიდის, საგამოფენო დარბაზის შექმობა, თბომაგალ „შოთა რუსთაველისათვის“ ქედურ ნაწარმოებთა მთელი ციკლის შექმნა კ. გურულთან ერთად, და ბევრი სხვა, რაც უთუოდ გაამდიდრებს ქართული საბჭოთა ქედურობის საგანძურს.

დღეისათვის, როდესაც ქართულმა ქედურობამ ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი ხელოვნების სხვა დარგების შორის, როდესაც მისი მიღწევები ყველასათვის თვალსაჩინოა და საყოველთაოდ აღიარებული, უკვე თამამად შეიძლება ლაპარაკი ქედურობაზე, როგორც ქართული საბჭოთა ხელოვნების მნიშვნელოვან მოვლენაზე, რომელსაც თავისი განვითარების გარკვეული კანონზომიერებანი გააჩნია. ახლა აღარავის აღარ ეპარება ეჭვი ქედურობის წარმატებებში, მის ხელოვნულ დღეში. თუ რამდენიმე წლის წინათ იგი ცალკეული ენთუზიასტების წყალობით სწორდებოდა წელში, ახლა ქედურობის ოსტატთა რიცხვი ორ ათეულს აღემატება. ირ. ოჩიაურის გვერდით დიდი წარმატებით მუშაობენ ქედურობის ოსტატები — გ. გაბაშვილი, კ. გურული, დ. ყიფშიძე და ახალგაზრდა მხატვართა დიდი ჯგუფი. მათ შემოქმედებაში კარგად არის შეხამებული ეროვნული მხატვრული ტრადიციები თანამედროვე ხელოვნების მოთხოვნებთან. სწორედ ქართული ქედური ნაწარმოებების მაღალი მხატვრული ხარისხი, მკაფიოდ გამოვლენილ ეროვნულ სასიათთან ერთად შეადგენს ქართული ხელოვნების ამ აღორძინებული დარგის მთავარ ღირსებებს და მის ძლიერ მხარეს, რაც მომავალი ახალი წარმატებების საიმედო საწინდარსაც წარმოადგენს.

ხალხის საყვარელი მსახიობი

შოთა ქურიძე



უსუფ კობაღაძის შემოქმედებით ბიოგრაფია განურქვალა და კავშირებული ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან, სადაც უკვე ოცდაათი წელიწადია მოღვაწეობს. მაგრამ როგორც მსახიობი იგი რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში აღიზარდა. მისი მასწავლებელი და უშუალო ხელმძღვანელი იყო დიდი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი, რომელმაც თავიდანვე განუმტკიცა მას ჰეროიულ-რომანტიკული თეატრის სიყვარული. კობაღაძე ისე გაიტაცა გმირულ-ტრაგიკულმა ხანიათებმა, რომ ოცნებად ექცა გამზდარიყო ტრაგიკოსი აქტიორი.

საქართველოს სსრ
სახალხო არტისტი
ესუსუ კობალაძე



ქართველ კაცს ოდიოგანვე იზიდავს ყოველივე გმირული, ამაღლებული, იტაცებს ძლიერი ვნებების ჭიდილი, ადამიანის სულიერი სამყაროს სიღამაზე და სიდიადე, ზნეობრივი კეთილშობილება და პატრიოტიზმი. სწორედ ეს ეროვნული თვისებები იწყობდა მსახიობს და ამიტომაც გაიტაცა იგი გმირულ-ტრაგიკულმა ხასიათებმა.

მაგრამ ეროვნული სულის გარდა ტრაგიკოსის უმდიდრესი გარეგნული და შინაგანი ბუნებრივი მონაცემებიც უნდა გააჩნდეს. მათ გარეშე ყველაფერი ამაოა.

გავიხსენოთ, როგორ დაბასიათა ესუსე კობალაძე ქართული თეატრის ამაგდარმა შალვა დადიანმა:

„ესუსე კობალაძე მე ტრაგედიის დიდ არტისტად მიმაჩნია. ამისათვის მას გარეგნული მონაცემებიც აქვს: სხეულის ათვისება, პირისახის სათანადო მივივა, ხმის საშური, ბარეტონალური ტემბრი. მხოლოდ, რაც შეიძლება, მას აქვს შინაგანი განცდის გადმოცემის მომხიფველი უნარი. ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ: „დიდი ღმერთის საკურთხევლის მას უღვივის ცეცხლი გულში“. ეს „დიდი ღმერთი“ მისთვის ტრაგედიის ჟანრია“.

ესუსე კობალაძე მართლაც იმეფათა ბუნებრივი მონაცემების მსახიობია და მისი „დიდი ღმერთი“ ტრაგიკოსობაა. ქართულ თეატრში მან უკვე ასზე მეტი როლი შეასრულა, რომელთაგან უმრავლესობა გმირულ-ტრაგიკულია.

ბევრს ახლავ ახსოვს ი. კობალაძის ბრწყინვალე გონა („ხევისბერი გონა“), ბაბა (ვატა-ფშაველას „მოცულობა“), ბაგრატიონი (ა. შერვაშიძის „მხედრობისათვის ბაგრატონი“), ბეჭი (პ. ლორიას „ნაირა“), კორაღო (პ. ჯაქოშვილის „დამნაშავეს ოჯახი“) და სხვა მხატვრული სახეები, რომლებიც აქტიურმა ამ ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში შექმნა.

